საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 53 (6429) 2 მაისი ხუთშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

განცხადება

1991 წლის 29 აპრილს საქართველოში მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ განსაკუთრებით დააზარალა საჩხერის, ონის, ამბროლაურის, ჯავისა და ცაგერის რეგიონები (5.700 კვ. კმ. ტერიტორია 100000-ზე მეტი მცხოვრებით).

პირველადი მონაცემებით, მიწისძვრის შედეგად დაინგრა საცხოვრებელი და სამეურნეო შენობების 85 პროცენტი. არის ადამიანთა მრავალრიცხოვანი მსხვერპლი, არიან დაშავებულები.

ზემოაღნიშნული რეგიონები ცხადდება სტიქიური უბედურების ზონად.

1991 წლის 30 აპრილი.

უბედურების ზონაში

29 აპრილის დღის 13 საათსა და 10 წუთზე საქართველოში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრი იყო კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობზე საჩხერე—ჭიათურა—ონი—ამბროლაურის რაიონების ტერიტორიაზე, სადაც გამოიწვია ძლიერი ნგრევა და ადამიანთა მსხვერპლი.

მიწისძვრის სიძლიერემ 6 ბალს მიაღწია ჩვენს რაიონში. განსაკუთრებით იგი აღინიშნა რაიონისა და ლაჯანურის ხეობებში. სულ რაიონში დაზიანებულია წინასწარი მონაცემებით 405 საცხოვრებელი სახლი, აქედან 25 პროცენტში ცხოვრება არ შეიძლება. დაზიანდა თაბორის, სურმუშის, ქვ. ცაგერის, ოყურეშის, ლასურიაშის, ცაგერის სკოლების, ტვიშის ღვინის ქარხნის, ალპანეს საუბნო საავადმყოფოს, ტვიშის საბავშვო ბაღის შენობები.

გაიმართა სამოქალაქო თავდაცვის შტაბის საგანგებო კომისიის სხდომა რაიონის სამოქალაქო თავდაცვის უფროსის, რაიონის პრეფექტის ტ. ალავიძის ხელმძღვანელობით. შეიქმნა საავარიო მაშველი ბრიგადა 45 კაცისგან შემადგენლობით.

გასაჭირი ჩვენიც გვყოფნის, მაგრამ რაკი მეზობელ რაიონებს უფრო უჭირთ, შეიქმნა სხვადასხვა სპეციალური მაშველი ჯგუფები: სამედიცინო მომსახურების (ხელმძღვანელი ალუდა ზურაბიანი), წესრიგის დაცვის (ალექსი ჩიქოვანი), ტექნიკური მომარაგების (მერაბ ჩაკვეტაძე), გზებისა და ხიდების აღდგენის (კობა გოგიძე), კავშირგაბმულობის (იური ჭაბუკიანი), ელექტროქსელების აღდგენისა და სამთომშველელი ჯგუფი (დათო ჩაჩხიანი), ელექტრომომარაგების სამსახური (მერაბ მუკვანი).

ეს ჯგუფები 30 აპრილსვე ჩაერთვნენ მუშაობაში. პრაქტიკულად ელექტროქსელების აღმდგენი ბრიგადა გავიდა ონის რაიონის სოფლებში, ცენტრალურ მაგისტრალებზე და მუშაობენ აღდგენით სამუშაოებზე.

კავშირგაბმულობის სპეციბრიგადა ამბროლაურშია და საგრძნობი ბიძგების პირობებში ასრულებს თავის პროფესიულ მოვალეობას.

ონის სოფლებში დღედაღამ მუშაობენ ჩვენი სოფლტექნიკის მექანიზატორები დატვირთველებით, ბელარუსებით, სხვა ტექნიკით, აღადგენენ სოფლებში მისასვლელ გზებს, ასრულებენ დანგრეული სახლების ამოწყობის, და ერთი სიტყვით, პირველად სამუშაოებს.

ამ უბედურებისა და განუკითხაობის ჟამს წესრიგი, სიმშვიდეა უპირველესად საჭირო, ამ მხრივ ონელ მშრომელებს კარგ სამსახურს უწევს შინაგან საქმეთა ცაგერის განყოფილების 4 კაციანი ჯგუფი.

რაიონის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის საგანგებო კომისია რაიონის პრეფექტის ხელმძღვანელობით მზადაა ყოველნაირი დახმარება გაუწიოს ჩვენი და მეზობელი რაიონების მოსახლეობას.

* * *

რაიონის სამოქალაქო თავდაცვის შტაბი მოსახლეობის საყურადღებოდ აცხადებს, რომ ახალი საფრთხე აღარაა მოსალოდნელი, სუსტი ბიძგები შეიძლება გამეორდეს, მაგრამ არავითარ საშიშროებას არ გვიქადის, პრაქტიკიდან გამომდინარე.

მიმართვა ქართველი ხალხისადმი

ძვირფასო თანამემამულენო!

ქართველმა ხალხმა კარგად უწყის, რომ ეროვნული ძალმოსილება მხოლოდ უდიდესი ჭირსახდელის გავლით მიიღწევა. ბედმა არგუნა ჩვენს ქვეყანას განუწყვეტელი ბრძოლა ფიზიკური არსებობისა და სულიერი მხნეობის შესანარჩუნებლად.

დღეს მორიგი განსაცდელის წინაშე აღმოვჩნდით. დაუნდობელმა სტიქიამ შეიწირა ადამიანთა სიცოცხლე, უსახლკაროდ დატოვა მრავალი ქართველი, გააღრმავა ჩვენი იარები.

საქართველოს ხელისუფლება სამძიმარს უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს და მთელ ქართველ ხალხს და, თავის მხრივ, ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ კატასტროფის ზონაში გატარდეს მაქსიმალურად ეფექტური ღონისძიებები, როგორც საკუთარი ძალებით, ასევე მსოფლიოს ქვეყნების ჰუმანიტარული დახმარების მეშვეობით.

გვწამს, რომ ჭირთათმენის ამ მძიმე ჟამს ქართველი ერი შესძლებს შეინარჩუნოს სულის სიმტკიცე, გვერდით ამოუდგეს საქართველოს მთავრობას და მისთვის ჩვეული შეუპოვრობით დასძლიოს ეს დიდი განსაცდელი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

1991 წლის 30 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის უზენაესი საბჭოსა და მთავრობისაგან

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, უზენაესი საბჭო და მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1991 წლის 29 აპრილს საქართველოში მომხდარ ძლიერ მიწისძვრას მოჰყვა ადამიანთა მრავალრიცხოვანი მსხვერპლი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, უზენაესი საბჭო და მთავრობა სამძიმარს უცხადებენ დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს.

გაიხსნა მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდი

ანგარიშის ნომერია 70026

უბედურება დაგვატყდა თავს. სამწუხაროდ, ისე შევეჩვიეთ ყველაფერს, რომ აღარც კაცისგან გვიკვირს რისხვა და აღარც ბუნებისგან. და სხვა რაღა დაგვრჩენია—უნდა გადავეფაროთ ერთმანეთს, ვინც დავრჩით, ლუკმა-პური გავუნაწილოთ, სითბო და იმედი ვუწილადოთ.

მთელი საქართველო ფეხზეა, ფიქრი, გონება, დარდი უბედურების რაიონებს დასტრიალებს, უმალ გაჩნდა სპეციალური ანგარიში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად. საწარმო-ორგანიზაციებს, ადამიანებს, თვითეულს დანაზოგი, ვისაც რისი საშუალება აქვს, ამ ანგარიშში შეაქვთ.

რედაქციას დაუკავშირდა ცაგერის აგრომრეწვბანკის მმართველი ბონდო ჭაბუკიანი. გადმოგვცა, რომ აგრომრეწვბანკში გაიხსნა ანგარიში დაზარალებულთა დასახმარებლად.

ანგარიშის ნომერია 70026. თავად აგრომრეწვბანკის მუშაკებმა 6 დღის ხელფასი—1000 მანეთი პირველებმა გადერიცხეს სტიქიით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

ასევე, კიდევ უნდა გავუძღოთ ამ მორიგ უბედურებას, კიდევ უნდა მოვიკრიბოთ ძალ-ღონე ერთმანეთის გასამხნევებლად.

თანადგომა — სხვა რაღა დაგვრჩენია

ქართველს და საქართველოს რომ არ გადაუტანია, აღარაფერია ისეთი. ახლა ბუნებაც გაგვიწყრა, და როგორ—მიწისძვრამ მიწასთან გაასწორა რაიონები, არის ადამიანთა მსხვერპლი, დაინგრა საბავშვო დაწესებულებები, დაიღუპნენ ბავშვები.

და აი, ამ გაუსაძლისი გაჭირვების ჟამს პანიკამ კი არ მოიცვა ქართველი ხალხი, როგორც სჩვეულია, შეუძლებელი შეაძლებინა, რკინის ნერვები შეასხა და დაძრა ტექნიკა, მაშველი რაზმები, პროდუქტები, მედიკამენტები საჩხერის, ამბროლაურის, ონის მიმართულებით, იქ სადაც მიწა ბუყბუყებს, ზანზარებს, მალმალ იგრძნობა ბიძგები.

ცაგერის რაისაავადმყოფოს კოლექტივი ფეხზე დადგა. მძლავრმა ბიძგებმა პანიკაში ჩააგდო ავადმყოფები. მედპერსონალს წუთით არ მიუტოვებია ისინი, დააწყნარა, დაამშვიდა.

საღამოს, როგორც კი ოფიციალური ინფორმაცია გაჩნდა უბედურების რაიონებზე, საავადმყოფოს მედპერსონალმა სისხლის გაღება დაიწყო. ახალგაზრდა ექიმი-გინეკოლოგი აიდა ბარსეგიანი სასწრაფო განყოფილების მორიგე იყო, პირველმა ჯერ უყოყმანოდ სისხლი, მეორემ—მისმა მეუღლემ, ქირურგმა საშა ხანუმიანმა, დადგა ექიმების რიგი, სისხლი გაიღეს რაისაავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგემ ალუდა ზურაბიანმა, ნევროპათოლოგმა მირანდა სილაგაძემ, საოპარაციოს მედდამ ნელი ყურაშვილმა, ეპიდსადგურის ეპიდემიოლოგმა იზა კოპალიანმა, რაისაავადმყოფოს თანამშრომელმა ნანი მურცხვალაძემ.

30 აპრილს რაისაავადმყოფოს მუშაკთა კონფერენციაზე უმრავლესობამ გამოთქვა სისხლის გაღების სურვილი და გაიღეს კიდეც. ძნელია ყველას ჩამოთვლა, ვერ აუდიოდა რაისაავადმყოფოს მედპერსონალი მომწყდარ მოხალისე ადამიანებს. ისინი იყვნენ რაიონის სახალხო მოსამართლე ლეილა გურგუჩიანი; ვალერი ბანძელაძე, სოზარ თაგვაძე, ნუნუ გუგავა, ვალერი კვირკაშვილი, ქვედა ცაგერის ბაგა-ბაღის თანამშრომლები ზოია შაუბულიანი, ქეთინო ყურაშვილი და სხვა.

სისხლის გაღება გრძელდება. ექიმთა ბრიგადა მედიკამენტებით გადასხმის საშუალებებით გაემგზავრა ამბროლაურში და შეასრულა თავისი მისია.

30 აპრილს ამბროლაურში გაემგზავრა განათლების განყოფილების მუშაკთა ჯგუფი, რომლებმაც აუცილებელი პროდუქტები და კარვები წაუღეს დაზარალებულ.

ასევ. ადამიანები მოქმედებენ ერთი გულისთქმით: ოღონდაც ეშველოს მოძმეს, ოღონდაც სიცოცხლე იყოს.

თვალსაზრისი

თვალის ერთი გადავლებით

ქვეყანა ახალი ნაომარი იქნებოდა. სოფელში უცხო ხალხის სიმრავლე იგრძნობოდა, მათი უმრავლესობა ქალაქიდან მოდიოდა, მარილი და ფართლეული მოჰქონდა სიმინდზე, ლობიოზე და ღვინოზე გადასაცვლელად. არც მათხოვრის გამოჩენა იყო უცხო. მოვიდოდა ვინმე საბრალობელი დედაკაცი და ერთი ტარო სიმინდი რომ მიგეცა საცოდაისთვის, მთელი საათი გლოცავდა. გაჭირვებულისთვის ხელის გაართვა უყვარდა სოფელს. სიმინდი, ლობიო, პური, ღვინო ბლომად იყო და უხვადაც გასცემდა ალალი ლეჩხუმელი კაცი.

იცოცხლე, მაშინ სოფელს დაფაკეცა ჰქონდა. ხალხი მუყაითად შრომობდა და მაღლიანი ქართული მიწაც დაუზარებლად იბერტყავდა ხვავითა და ბარაქით სავსე კალთას. მშრომელი კაცის ოჯახში აორაგი უხვად იყო, მაგრამ სტუმართმოყვარე ქართველი გლეხი არასოდეს არ ღალატობდა ზომიერების გრძნობას. მისთვის უცხო იყო ლოთობა და გუმაძღრობა. „შეცელს აქორებ-ქორია, აღორებ-ღორია“, — გვასწავლიდნენ უფროსები. წელიწადს რომ დიდი მეცელი ჰქონდა, კარგად იცოდა ხალხმა და უფროხილდებოდა ჭირნახულს.

ვისაც გარჯა არ ეზარებოდა, შემოდგომაზე მაღლიერების გრძნობა ეუფლებოდა, დოვლათით ივსებოდა ქვევრები, ნალიები და ბეღლები. მუქთახორობაზე წარმოდგენა არავის ჰქონდა. დიდი და პატარა თანაბრად იყო დარწმუნებული, რომ შრომისათვის მოვადა ქვეყანად და ერთგულად ასრულებდა არსთაგამრიგის კანონს. ერთგვარ უკმაყოფილებას მცირეიცხოვანი ოჯახები გამოთქვამდნენ, რადგან, სხვებთან შედარებით, შრომადღეების მცირე რაოდენობა ერიცხებოდათ. კაცდღეზე კი 10—12 კილოგრამი სიმინდი ნაწილდებოდა იმხანად. ამას ემატებოდა ლობიო, ხორბალი, ყველი, ღვინო, თაფლი და სხვა.

ერთი სიტყვით, ღმერთს არავინ ემდუროდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ პირში „ლაგამი ჰქონდათ ამოდებული“ და ვაგლახად ვერავინ გაბედავდა ენის მობრუნებას მთავრობის წინააღმდეგ.

მთავარი, არსებითი, რაც არ მოგეწონებოდა და გულზე მოგხვდებოდა კაცს, ის იყო, რომ სოფელი ორ ბანაკად იყო გაყოფილი. ესენი კოლმეურნეობის თავმჯდომარის მომხრეები და მოწინააღმდეგეები იყვნენ. თავმჯდომარის უკითხავად არაფერი გადაწყდებოდა, როგორც უცხერელები ამბობენ ხოლმე, უენდოდ არაფერი იქნებოდა.

როცა წარსულ ცხოვრებას დღევანდელი თვალსაწიერიდან გადავხედავ და ურთიერთდაპირისპირებული ბანაკებით მოფენილ სოფელს წარმოვიდგენ, ვგრძნობ, როგორ დაფლეთდნენ ისინი ერთმანეთს იმ ავადსახსენებელ 1937 წელს, როცა საშუალება მიეცათ მტრობა ფარულად გაღმოენთხიათ და დაუზარებლად გაესტუმრებინათ მოშუღარნი მოუსავლეთში. სოფლის მთლიანი ორგანიზმის გახლეჩა და დაპირისპირებულ ჯგუფებად დაყოფა პარტიის კოოპერაციული გეგმის რეალიზაციასთან იყო დაკავშირებული, რადგან მოძულე მხარეების არსებობა კოლმეურნეობის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეებისაგან იღებდა სათავეს.

სხვა საწუხარიც ბევრი არღვევდა სოფლის მყუდროებას. ხალხი ვერ ივიწყებდა თავის საუკეთესო შვილებს, რომლებიც ხანგრძლივი ომის ქარცეცხლიან გზებზე დაეცნენ და მარადიული მჭმუნვარების დაღი დაასვეს დობლებულ ოჯახებს, გამრავლდნენ შესაბრალისი შავლეჩაქიანი ქალები, მათი დახმარება სოფლის ცხოვრების დაუწერელ კანონად იქცა. შიშით იყვნენ დახფრული ოჯახები, რომლებსაც გერმანიის ტყვეობაში შემთხვევით მოხვედრილი მებრძოლები დაუბრუნდნენ. არავინ იცოდა, როდის გაუყენებენ მათ ციმბირისა და შუაახიის გზას, რომელზეც ქართული ხლაპრისა არ იყოს, ჩავლილი ბევრი უნახავთ, მაგრამ უკან მობრუნებული—არავინ.

ამფენი ორომტრიალის მიუხედავად, ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა. ითესებოდა ყანები, იყრებოდა ვაზი, შენდებოდა ბაღები, სულით არ ეცემოდნენ მარჩენალდაკარგული ოჯახები, იზრდებოდნენ და ცხოვრების მძიმე უღელში ებმებოდნენ დობლებული ბავშვები. იარებს იშუშებდა სოფელი. მართალია, სახელმწიფო თავისას ითხოვდა, ფინანგენტის ყოველი მოსვლის დროს სოფელი საწიოვე მთას ემსგავსებოდა, მაგრამ მცირედითაც კმაყოფილი ხალხი უიმედობას არ ეძლეოდა, მაღალი ღმერთის რწმენა ასაზრდოებდა უუფლებობით გვემულ მათ ლამაზ სულს.

ხალხის ძირითადი საკვები მჭადი და ლობიო იყო, გამომცხვარი პური სადღესასწაულო დღეებში თუ გამოჩნდებოდა, მაგრამ გამოსდა ხანი და სოფელში პურის გაიაფების ხმა დაირხა, რაც საქმითაც მალე დადასტურდა, მახსოვს, რა სიამოვნებით მიირთმევდნენ მუშკივით რბილი პურის ნამცხვარს და მადლიერებას გამოხატავდნენ ღმერთებთან წილნაყარი სტალინის მიმართ, რომელიც, როგორც ბევრს სწამდა, მათი კეთილდღეობისათვის იბრძოდა.

მერე ყველაფერი შეიცვალა, მარტის ერთ სუსხიან დილას სოფლისათვის ცნობილი გახდა ბელადის გარდაცვალება. მწუხარებას ბოლო არ უჩანდა, ყველა მდუღარე ცრემლით ტიროდა, „ხალხთა მამის“ გარდაცვალება უბრალო ადამიანებსაც უდიდესი უბედურების მომასწავებლად მიაჩნდა. ბელადის ჭირისუფლებმა არ იცოდნენ, რომ მალე მას სისხლიან დიქტატორად და უზურპატორად მონათლავდნენ და იტვირთავდა ყველა იმ ცოდვას, რაც მისი მემკვიდრეების უსახელო მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული უკანასკნელი ოთხი ათეული წლის განმავლობაში.

საუკუნის 60—70-იან წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სახალხო მოხმარების საქონლის სიუხვე იყო. თუმცა 60-იანი წლების დასაწყისში ხრუშჩოვის აგრარულმა პოლიტიკამ იქამდე მიიყვანა საქმე, რომ კომბინირებული საკვების ნაზავით უმასპინძლდებოდნენ ხალხს, მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. 1964 წლის დეკემბერში დაამხეს სოციალისტური ქვეყნის პირველი მესაფლავე ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელმაც ქვეყანა დატოვა ანძადამსხვრეული და იალქნებდაფხრეწილი ხომალდის მდგომარეობაში.

როცა ხელისუფლების სათავეში ლ. ი. ბრეჟნევი მოვიდა მან სტაბილურობა გამოაცხადა და, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უკანასკნელ პერიოდს, როცა მძიმედ დაავადებული ლიდერის ნაცვლად, ქვეყანას მისი უახლოესი გარემოცვა მართავდა, ხალხს სამდურავი არაფერი ჰქონდა, ყველაფერი თავსაყარად იყო.

მაგრამ ლ. ი. ბრეჟნევისა და მისი თანამებრძოლების ავტორიტეტს და ქვეყნის მომავალზე დამღუპველ გავლენას ახდენდა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი კორუფცია, მეჩრდილობა, მიწერები და სხვა ანომალიები. პარტიული და საბჭოთა აპარატის მუშაობას მათი ხელმძღვანელობა ისე წარმართავდნენ, რომ ბევრ სარფიან სამუშაოზე მოკალთებულ პირს ფული ეშოვა. ხალხმა კარგად იცოდა, რომ ეს უანგაროდ არ კეთდებოდა, ამან გამოიწვია რწმენის დაკარგვა და უიმედობა, შემდგომში ეს ძვირად რომ დაუჯდა კომუნისტურ რეჟიმს.

სახეზე იყო სოციალური უსამართლობა, ცხოვრების ერთ პოლუსზე აუოაცხელი ფული და სიმდიდრე დაგროვდა, ხოლო მეორეზე—ენით აუწერელი სიღატაკე, მაგრამ ოფიციალური ხელისუფლება ამაზე თვალს ხუჭავდა და პარტიის საკავშირო ცენტრალური კომიტეტიდან დაწყებული, რაიონული ორგანიზაციებით დამთავრებული, ყველა ცდილობდა, რომ ზარზეიმიანი დღესასწაულების მოწყობით—ყურადღება ყოველდღიური ცხოვრების დუხჭირი პირობებისაგან ჩამოეშორებინათ. ამის ნათელი გამოხატულება იყო არაფრის მაქნისი „თბილისობა“, „ცაგერობა“ და ა. შ. იყვნენ ადამიანები, რომლებიც კარგად ხედავდნენ, რომ ქვეყანაში სადღესასწაულო არაფერი იყო, მაგრამ მათი უკმაყოფილება რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

ადგილი ჰქონდა მრავალ სხვა შეუსაბამობასაც, როგორც სარკეში, ზუსტად აირეკლებოდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ პერიოდში ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა. მაგალითად, 1972 წელს მიღებულ იქნა დადგენილება თბილისის პარტიული ორგანიზაციის შესახებ, რომელსაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია გარდა იმისა, რომ ცვლილებები მოხდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის უმაღლეს ეშელონებში. მაგრამ მოვიდა 1982 წელი და რესპუბლიკურმა პრესამ უსირცხვილოდ აუწყა ხალხს, რომ თითქოს გასული ათი წლის განმავლობაში ნაკლოვანებები გამოსწორდა და მათ შესახებ წერა საჭირო აღარ იყო, სინამდვილეში რაც ხდებოდა, ამას კარგად გრძნობდა ჩვენი გაძვალტყავებული საზოგადოებრივი სხეული.

გავიდა ხანი, მაგრამ ცხოვრების დონე არ გუმჯობესებულა, გაქარწყლდა პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებული ხალხის ცხოვრების მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების ყველა პროგრამა. მასებს უიმედობა დაეუფლა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სიღარიბე როგორც ოჯახში, ისე სახელმწიფოში, განხეთქილებას წარმოშობს ასე მოხდა ჩვენს სინამდვილეშიც. რესპუბლიკები დამოუკიდებლობას მოითხოვენ. ავანგარდში ჩვენი სამშობლო, საქართველო დგას. ერის კეთილდღეობაზე თავგადაკლული ქართველი სახუკვარი თავისუფლებისათვის იბრძვის. ღმერთი იყოს მისი შემწე.

ყველას მიაჩნია, რომ უნდა შეიცვალოს სისტემა, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების მუხრუჭად იქცა, მაგრამ სასურველი ცვლილებები თავისით ხომ არ მოვა, წყალწყდებული კაცისა და ღმერთისა არ იყოს ხელი უნდა გამოვიღოთ, მაგრამ ეს არ იგრძნობა, ჩვენ ლაპარაკი ვისწავლეთ, მაგრამ შრომას გადავეჩვიეთ. რატომ გვავიწყდება, მსოფლიოს წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნები მხოლოდ მაღალნაყოფიერი შრომით აღწევენ სასწაულებს. გახსოვთ ალბათ საზოგადოებაში მოარული გამოთქმა: როცა იაპონიაში თევზი გამოელევათ, ზღვაში გადიან, საბჭოთა კავშირში კი—თათბირს იწვეტენო. დიახ, თათბირებმა რაც დაგვმართა, შედეგი სახეზეა, მაგრამ არც პერმანენტული მიტინგები დაგვაყრის ხეირს.

გონს მოდით, ადამიანებო, და გამოიღეთ ხელი, ღვთის გულისათვის. ჩვენმა წინაპრებმა ჟამთა სრბოლაში შეუმუსრავი ციხე-კოშკები, ეკლესიები და კულტურის სხვა ხელთუქმნელი ძეგლები დაგვიტოვეს. ჩვენ შთამომავლობას საქართველოს დამოუკიდებლობა დავუტოვოთ. ეჭვი არავის ეპარება, რომ ეროვნული ძალების ხელმძღვანელობით, ქართველი ხალხი მიაღწევს სანუკვარ მიზანს, მაშინ საფლავში შვებით შეირხევიან 1832 და 1924 წლის შეთქმულების მონაწილეთა ძვლები, ქართლის მრავალჭირგამოვლილ დედა კი მუხლს მოიდრეკს შვილთა მისთა სამშვიდობოს წინაშე.

მაგრამ უშრომლად მანც ვერ გავალთ ფონს. აკი გვაწავლიდა დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია, რომ „მხოლოდ შრომაა უდიდესი ბედნიერება ამ ქვეყნიდ და არაფერი არ ამშვენებს ადამიანს ისე, როგორც შრომაში გამოჩენილი სიქველე“, მოდით, ნუ დავივიწყებთ ჩვენი უკვდავი სულიერი მოძღვრის ანდერძს, ვიშრომოთ თავისუფლების ნათელ გზაზე დამდგარი ჩვენი სათაყვანებელი მამულის საკეთილდღეოდ, მხოლოდ თავისუფალ შრომას მეუძლია, რომ სიმშვიდე მოგვანიჭოს ცხოვრების კატაკლიზმებით დახლართულ ჩვენს მშფოთვარე დროში.

ომარ ჭაბუკიანი.

პოზიცია

ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲚᲔᲑᲘᲗ

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲔᲥᲘᲛᲘᲡ

ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲬᲔᲠᲔᲜ

ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲕᲮᲕᲓᲘᲗ ᲐᲛᲐᲧ ᲡᲣᲚᲡ

ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ კი ვართ ღმერთთან?

საქართველოს დღეს უკიდურესად უჭირს. ეს საწყუხაროდ, აქსიომად იქცა. საბჭოეთში არა და არ ცხრება სროლა. ანკი სად ჰქონდა ამ ხალხს ამდენი ბოღმა, ამდენი სიძულვილი ჩვენის მხრივ სიყვარულის სამაგიეროდ,

ლალი ღეთოდიანს
გიოგი კვირკაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ თქვენი კარის ზღურბლზე სტუმრად მდგარიყოს ქვეყნად არსებული სითბო და სიკეთე, სიხარული და სიყვარული. იცოცხლეთ და იბედნიერეთ.

ბარდნალის საშუალო სკოლის მე-10 კლასელები

ლალი გუჯუს ასულ ლეთოდიანს
გიორგი ალიოშას ძე კვირკაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძეძლიერი ოჯახი. იხარეთ, იმრავლეთ, იბედნიერეთ.

ამირან, მურმან ჭიჭინაძეები, გია ხეცურიანი ოჯახებით.

ლალი ლეთოდიანს
გიორგი კვირკაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული, ბედნიერება და შვილთა სიმრავლე დაბედებოდეს თქვენს ახალ ფუძეს.

ამირან, მარინე, მაყვალა, მანანა კვირკაშვილები.

ლალი გუჯუს ასულ ლეთოდიანს
გოგი ალიოშას ძე კვირკაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას. გამრავლება, გახარება არ მოეშალოს თქვენს ფუძე-ჭერს.

მელორი, მერაბ დავითულიანები.

ლალი გუჯუს ასულ ლეთოდიანს
გიორგი ალიოშას ძე კვირკაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ შვილთა სიმრავლეს.

მაიზერ ახვლედიანი, ზინა, ხვიჩა ჩარკვიანები ფაფალა მურცხვალაძე, მალედი ბენდელიანი დოდო დოლაბერიძე, ნორა საღინაძე, ლილ კოპალიანი.

ლალი ლეთოდიანს
გიორგი კვირკაშვილს

გილოცავთ ულამაზეს დღეს—ბედნიერებას. იხარეთ იბედნიერეთ. შვილთა სიმრავლე დაგბედებოდეთ. მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე.

მარინა სვანიძე, ლალი ხვადაგიანი, ხათუნა ჩარკვიანი, ელისო, ელეონორა კვირკაშვილები მარინა ბურჯალიანი, სოზარი ლარცულიანი, კარლო კოპალიანი, როსტომი საღინაძე, მირიან ჩიქოვანი.



თინა თეოფანეს ასულ ირემაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ყოველივე კარგს. სიხარული და ბედნიერება ეფინოს თქვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი.

დუდუშა, ინგული ახვლედიანები, გულიკო გვიშიანი, ლეილა ჩიქოვანი, ამალია სილაგაძე, ზინა ფოფხაძე, ლია ფრუიძე, ბელა გოლეთიანი, ციცო ურთაძელიძე.

დათუნა გივის ძე ქარსელაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს, გაზრდილიყოთ ერის საამაყო შვილი, ღმერთი იყოს შენი მფარველი ყველა გასაჭირში.

შენი მამიდები და ბიძები.

ნაირა გერასიმეს ასულ ცხვედიანს

გილოცავთ დაბადების დღეს, ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ქმარ-შვილის მეგზური.

თქვენი კეთილისმსურველი

გულიკო ნათლია.
გუგული ქარსელაძე.

ნაირ-ნაირი

უმაღლესი სასწავლებელი უპრივილეგიებიდან

რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა მიმდინარე სასწავლო წლიდან გაუქმოს ოქროსა და ვერცხლის მედლები, ხუთოსნობის ატესტატები და დიპლომების გაცემა და ამასთან დაკავშირებით, მათი მფლობელებისათვის მინიჭებული ყოველგვარი პრივილეგიები.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა წარჩინებული სწავლისა და სანიმუშო ყოფაქცევის სტიმულირების მიზნით შემოღებულმა ამ პრივილეგიებმა ფაქტიურად დაკარგეს თავიანთი მნიშვნელობა, და ისინი უმაღლეს სასწავლებელში იოლი გზით მოხვედრის საშუალებებად იქცნენ. მედლების, წარჩინების ატესტატებისა და დიპლომების მფლობელთა [illegible] მოსწავლეებს [illegible] მშობლებსა და სასწავლო დაწესებულებებს [illegible] აკთა შორის არაჯანსაღი ურთიერთობის დამყარების საფუძველი. როგორც აღნიშნულია დადგენილებაში სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებულნი, რომელთაც წინათ მიენიჭათ ეს ჯილდოები, უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებს ჩაბარებენ საერთო საფუძველზე, ყოველგვარი პრივილეგიების გარეშე.

საქინფორმი

ფინეთში დამთავრდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა

ფინეთში დამთავრდა ფინურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა. ათ წელზე მეტი ხანი დასჭირდა მწერალ ოლავი ლინუს, რათა შეესრულებინა ეს რთული ამოცანა.

ჯერ კიდევ 1960-იანი წლების დამლევს ო. ლინუსს კავკასიაში მოგზაურობის დროს აჩუქეს ინგლისურად თარგმნილი პოემა.

—აღტაცებით წავიკითხე „ვეფხისტყაოსანი“. მისი თარგმნის აზრი მაშინვე დამებადა,— გვიამბობს ფინელი მწერალი.— და მაინც მაშინ ეს იდეა აუხდენელი და გადაულახავი მომეჩვენა. მაგრამ გადიოდა წლები და არაერთხელ დავბრუნებივარ ამ ქმნილებას, სანამ საბოლოოდ არ გადავწყვიტე დავხმარებოდი ჩემ ხალხს, რათა გასცნობოდა ამ ფაღალ ჰუმანისტურ ნაწარმოებს.

77 წლის მწერალი, ფინეთის მშვიდობისათვის მოძრაობის ვეტერანი, პოემამ მიიზიდა უწინარეს ყოვლისა პატრიოტიზმისა, ამხანაგობის, პიროვნების თავისუფლების იდეების გამო.

ო. ლინუსმა შესანიშნავად შეძლო შეენარჩუნებინა ორიგინალის გრძნობები, სულისკვეთება და მიზნები და ამავე დროს შეენარჩუნებინა პოემის ტემპი და რიტმიკა. ფინურ თარგმანს რომ ვკითხულობ, რუსთაველის ხმა მესმის, მოჰყავს ტემპერაჯში გამომავალ გაზეთს „აამულეტს“ ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგის დ. ბარეტის შეფასება.

თბილისელი მეცნიერების მიერ გაგზავნილი ილუსტრაციებით წიგნის გამოსვლა დაუკავშირდა ქართული კულტურისა და ლიტერატურის დღესასწაულს, რომელიც სამხრეთ ფინეთში გაიმართა აპრილში. ამ დღესასწაულის მთავარი მოვლენა გახდა საერთაშორისო სემინარი ქალაქ ტურკუს უნივერსიტეტში.

მეაფთიაქეები ყველაზე პატიოსანი ხალხია

ჰარარე. სამხრეთ აფრიკაში ყველაზე პატიოსანი ადამიანები მეაფთიაქეები არიან. ასეთია იმ გამოკითხვის შედეგები, რომლიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჩაეწყო 800 თეთრკანიან ქალს შორის. რესპოდენტთა 75 პროცენტმა განაცხადა, რომ ფარმაცევტების ქცევა ყველაზე ჭაღალ ეთიკურ ნორმებს შეესაბამება, რაც არ შეიძლება ითქვას მათ კოლეგა ექიმებზე, რომლებმაც მხოლოდ ერთი პროცენტი მოაგროვეს.

პატიოსნების მხრივ მათ შემდეგ არიან პოლიციელები, ბანკიერები, ადვოკატები, პარლამენტის წევრები, ბიზნესმენები, სადაზღვევო კომპანიათა აგენტები.

ჟურნალისტებმა მხოლოდ გამოკითხულთა თერთმეტი პროცენტის ნდობა დაიმსახურეს. სხვათა შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკები განსაკუთრებით ნუ განაწყენდებიან. მათი პატიოსნების დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე პროფკავშირების ლიდერებისა, რომელთაც ხმების რვა პროცენტი მიიღეს.

„ლეჩხუმი“ გამოდის

* **სამშაბათს**
* **ხუთშაბათს**
* **შაბათს**

ჩვენი მისამართი: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველი ქ. №56 ტელეფონები: რედაქტორის — 22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელ მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების — 22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების —22-41, სტამბის დირექტორის— 22-17, საბუღალტერო საამქროს —22-23

შეკვეთა № 41 ტირაჟი 4800

რედაქტორი ნოდარ ნემსაძე

ბებერ ახვლედიანი, ალიოშა მეშველიანი, ბუჭუ, ვენერი ჭაბუკიანები, შოთა ლაფუტაბანი, ჯუმბერ ჭიღვარია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გურგენ ლევანის ძე ახვლედიანი

თემურ სილაგაძე, გიორგი ჭაბუკიანი, იური ჩხეტიანი, სულიკო ყურაშვილი, ჯონი მეგრელი, არჩილ სიბაშვილი, პიერ ფუტკარაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გურგენ ლევანის ძე ახვლედიანი

მიშა ჩარკვიანი, ავთანდილ კოპალიანი, რამინ ყურაშვილი, ზურაბ ხაბულიანი, ირმა ფუტკარაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლიდა მეშველიანი

ცაგერის საშუალო სკოლის 1981 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ მარინე ახვლედიანს მამის

გურგენ ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

ბახვა კოპალიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გურგენ ახვლედიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ნინო, კოლია გიორგობიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლოლა ხუბუკელაშვილი-მიქაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

განათლების განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარინე ახვლედიანს მამის

გურგენ ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

ახალგაზრდული კავშირი თანაუგრძნობს იზა, გია ბურჯალიანებს

გურგენ ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

ზურაბ სვანიძე ოჯახით თანაუგრძნობს მარინა და იზა ახვლედიანებს მამის

გურგენ ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

მეელუდ ირემაძე, ონერ ნემსვერიძე, ლაშა ბურჯალიანი, ლილი, ოთარ გუგრუჩიანები, ჯიბილო მიქაძე, სოსო გასვიანი, მთვარისა ხმელიძე ოჯახებით იუწყებიან

გურგენ ახვლედიანის

გარდაცვალებას.

ვაჟა კვენტაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გურგენ ლევანის ძე ახვლედიანი.